საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №864

თბილისი „02“ 10 2017 წ.

აპლიკანტებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი და შემდგომი საფეხურების პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაციის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის პროფესიულ ტესტირებაში მიღებული ქულის/ქულების შენახვის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაციის ვადების დადგენის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2017 წლის 27 სექტემბრის N1161990 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აპლიკანტებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი და შემდგომი საფეხურების პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაცია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის პროფესიულ ტესტირებაში მიღებული ქულის/ქულების შენახვის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაცია განხორციელდეს 2017 წლის 4 ოქტომბრიდან 2017 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

ქეთევან ნატრიაშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი